



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
19 ივნისი, 2017


ეკონომიკა

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2017 წლის მაისში ექსპორტი წლიურად 24.9%-ით გაიზარდა და 215.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 3.8%-ით გაიზარდა და 633.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი წლიურად 4.6%-ით შემცირდა და 418.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ჯამურად 2017 წლის ხუთ თვეში, ექსპორტი 28.6%-ით გაიზარდა და 1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტი 10.8%-ით გაიზარდა და 2.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, შედეგად სავაჭრო დეფიციტი 3.4%-ით გაიზარდა და 1.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. საგარეო ვაჭრობის დეტალური სტატისტიკა 2017 წლის 19 ივნისს გამოქვეყნდება.

ფულადი გზავნილები: 2017 წლის მაისში ფულადი გზავნილების მოცულობამ 115.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 24.2%-ით არის გაზრდილი 2016 წლის მაისთან შედარებით. ფულადი გზავნილები წლიურად გაიზარდა ყველა ძირითადი დონორი ქვეყნიდან: რუსეთი (+21.8%), აშშ (+22.7%), საბერძნეთი (+8.9%), იტალია (+14.5%) და თურქეთი (+32.9%). 2017 წლის ხუთ თვეში ფულადი გზავნილები წლიურად 20.3%-ით გაიზარდა და 511.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2017 წლის 14 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ, რაც 7.0%-ს შეადგენს. ეროვნული ბანკის მიხედვით, გადაწყვეტილება ეყრდნობა მაკროეკონომიკურ პროგნოზს, რომლის მიხედვითაც, მიწოდების მხრიდან მოქმედი ფაქტორების გავლენით, ინფლაცია 2017 წელს 4.0%-იან მიზნობრივ მაჩვენებელზე მაღლა შენარჩუნდება. ამასთან, ეროვნული ბანკის ინფორმაციით ბოლო პერიოდში ინფლაციის მოლოდინებს შემცირების ტენდენცია აქვს და პოლიტიკის დამატებით გამკაცრების საჭიროება არ იკვეთება. დამატებითი შოკების არარსებობის შემთხვევაში, ინფლაციაზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ნეიტრალურ დონემდე შემცირება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდგომი სხდომა 2017 წლის 26 ივლისს გაიმართება.

ფულადი გზავნილები



წყარო: საქსტატი


ეკონომიკური ინდიკატორები

	5M17	2016	2015
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.2% ⁽¹⁾	2.7%	2.9%
მშპ ერთ სულზე (ppp)	...	10,044	9,601
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	...	3,853	3,767
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.6%	1.8%	4.9%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.8	2.8	2.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	...	13.3%	11.9%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	...	4.1%	3.7%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	...	44.6%	41.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები

(1) 2017 წლის ითხი თვის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2017

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №16 (საუკეთესო 20-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №13 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №59 (გაუმჯობესებული ტენდენცია)

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB- სტაბილური დადასტურებული ნოემბერი-2016	Moody's INVESTORS SERVICE Ba3 სტაბილური დადასტურებული მარტი-2016	FitchRatings BB- სტაბილური დადასტურებული მარტი-2017
--	--	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 1,350 მლნ ლარის (560.1 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.


სადეპოზიტო სერტიფიკატები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 91-დღიანი, 20 მლნ ლარის (8.3 მლნ აშშ დოლარი) ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები გაყიდა. საპროცენტო განაკვეთმა საშუალოდ 7.11% შეადგინა (უცვლელი წინა განთავსებასთან შედარებით).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლის 14 ივნისს 2-წლიანი 40 მლნ ლარის (16.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.00% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2017 წლის 21 ივნისს სადაც 1-წლიანი 50 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები:


საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2017 წლის 14 ივნისს 182-დღიანი 20 მლნ ლარის (8.3 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 7.210% შეადგინა.

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ
შენიშვნა: ბოლო აუქციონის მონაცემი.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სებ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სებ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (BGEOLN) დაიხურა 5.6%-იანი შემოსავლიანობით, ფასით - 101.8 (-0.1% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს ბანკის ლარში დენომინირებული ევრობლიგაცია GEBGG 06/20-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.3 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 10.7%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციები GEOROG 04/21-ით ვაჭრობა დაიხურა ფასით 105.4 (-0.2% წინა კვირასთან შედარებით), 5.2%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 110.7 ფასად (უცვლელი წინა კვირასთან შედარებით), 5.3%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით - 112.0 (+0.1% წინა კვირასთან შედარებით), 3.5%-იანი შემოსავლიანობით.

ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა %)



წყარო: ბლუმბერგი


	Local bonds				Eurobonds				
	GWP 12/21	M2RE 10/19	Nikora 03/18	GLC 09/17	GEBGG 06/20	GEOROG 04/21	BGEOLN 07/23	GEORG 04/21	GRAIL 07/22
მოცულობა მლნ აშშ \$	30*	25.0	5.0	10.0	500*	250	350	500	500
გამოშვების თარიღი	12/16	10/16	03/16	09/14	06-17	04/16	07/16	04/11	07/12
დაფარვის თარიღი	12/21	10/19	03/18	09/17	06-20	04/21	07/23	04/21	07/22
კუპონი, %	10.50**	7.5	11.0	8.75	11.0	6.750	6.000	6.875	7.750
Fitch/S&P/Moody's	BB-/B-	-/-	-/-	-/-	BB-/B+	BB-/B+	BB-/B1	BB-/BB-/B3	B+/B+
საშუალო ფასი, აშშ \$	n/a	101.6	101.6	100.5	100.3	105.4	101.8	112.0	110.7
საშუალო პროცენტი	n/a	6.75%	9.0%	6.50%	10.9	5.2	5.6	3.5	5.3
Z-spread, bps	n/a	n/a	n/a	n/a	346.1	346.2	176.5	349.2	376.1

წყარო: ბლუმბერგი

*GWP 12/21 და GEBGG 06/20 მოცემულია ლარში

** მცურავი განაკვეთი (სეზონის რეგულაციების განაკვეთის დამატებული 3.5%)

Georgian Eurobond universe



წყარო: ბლუმბერგი

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევრობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ქვეყანა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი, %	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody's)	საშუალო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
საქართველო	500	6.875%	12/04/2021	BB-/BB-/B3	112.0	3.5	176.5
აზერბაიჯანი	1,250	4.750%	18/03/2024	BB+/BB+/B1	101.3	4.5	258.4
ბულგარეთი	323	5.000%	19/07/2021	BBB-/BB+/Baa2	119.6	0.2	-164.7
ხორვატია	1,250	3.875%	30/05/2022	BB/BB/B2	111.3	1.5	137.0
უნგრეთი	3,000	6.375%	29/03/2021	BBB-/BBB-/Baa3	113.4	2.6	91.7
რუმინეთი	2,250	6.750%	07/02/2022	BBB-/BBB-/Baa3	117.0	2.8	103.0
რუსეთი	3,500	5.000%	29/04/2020	BBB-/BB+/B1	106.5	2.6	99.1
თურქეთი	2,000	5.625%	30/03/2021	BB+/BB/B1	106.8	3.7	196.5

წყარო: ბლუმბერგი



აქციები

BGEO ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 35.96 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.13% წინა კვირასთან შედარებით და +1.15% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 684 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 34.47 – 37.63 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 92 ათასი აქცია შეადგინა. FTSE 250 ინდექსი, რომელშიც BGEO შედის, წინა კვირასთან მოიმატა 0.14%-ით ხოლო წინა თვესთან დაიკლო 0.39%-ით. ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 1.73% შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 17.23 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (-5.23% წინა კვირასთან შედარებით და +5.97% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 276 ათასს გადააჭარბა, GBP 16.88 – 19.04 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 205 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 3.83 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (+9.43% წინა კვირასთან შედარებით და +2.89% წინა თვესთან შედარებით). ვაჭრობის მოცულობამ 546 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.48 – 3.83 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 95 ათასი აქცია შეადგინა. მოცემულ კვირაში ნავაჭრი აქციების მოცულობამ კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის 0.41% შეადგინა.

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	კოდი	აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას-დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.
BGEO*	BGEO	46.83	1,846	1.9%	22.1%	13.4%	23.2%	51.0%
TBC*	TBC	23.05	1,215	10.0%	28.1%	21.1%	24.6%	77.3%**
Halyk Bank	HSBK	7.88	2,166	0.4%	15.9%	25.1%	31.6%	74.1%
KKB	KKB	0.65	259	-39.3%	-54.7%	-51.1%	-55.0%	-59.1%
VTB Bank	VTBR	2.21	14,341	-1.6%	2.2%	-7.4%	-7.3%	1.7%
Vozrozhdenie Bank	VZRZ	13.04	310	0.2%	3.4%	11.6%	6.5%	32.3%
Sberbank	SBER	10.56	56,990	-12.4%	-4.4%	-11.8%	-8.8%	28.4%

წყარო: ბლუმბერგი

*BGEO და TBC ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში, ხოლო ცხრილში მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში

**TBC-ის აქციის ფასის 1-წლიანი ცვლილება დაანგარიშებულია GDR-ების ფასებთან მიმართებაში


ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

კოდი		აქციის ფასი, აშშ \$	კაპიტალიზაცია, მლნ აშშ \$	1თვე, ცვლ.	3თვე, ცვლ.	6თვე, ცვლ.	წლის დას- დან, ცვლ.	წ/წ ცვლ.
GHG*	GHG	4.46	587	-4.1%	-0.3%	-6.0%	-2.0%	33.6%
Mouwasat	MOUWASAT	39.86	1,993	2.4%	5.4%	1.0%	1.2%	15.4%
Fortis	FORH	2.94	1,524	-9.4%	9.9%	13.0%	10.6%	20.2%
Raffles	RFMD	0.99	1,739	-1.1%	-2.2%	-1.2%	0.4%	-15.5%
IHH	IHH	1.41	11,595	-1.0%	7.2%	-2.9%	-0.5%	-9.7%
Bangkok Chain	BCH	0.39	978	4.6%	14.5%	-3.8%	-5.0%	9.5%
Netcare	NTC	1.93	2,822	-4.5%	-18.3%	-16.5%	-16.8%	-7.2%

წყარო: ბლუმბერგი


*GHG ივაჭრება ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში, ხოლო ცხრილში მოცემულია აშშ დოლარის ექვივალენტში

BGEO ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: ბლუმბერგი

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: ბლუმბერგი

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



წყარო: ბლუმბერგი



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოთხოვნებით დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადრას რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამოწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადრას ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მოთხოვნილი თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამოწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამოწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge